ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 06 09 2018 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №249-ს

ქ. თბილისი

რექტორის 2018 წლის 7 აგვისტოს N240-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 -2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანების - ლევან ჯიქიასა (N1/2124, 05.09.2018) და ლევან ქისტაურის (N1/2123, - 05.09.2018) მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 7 აგვისტოს N240-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 -2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" და ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტები დანართებითურთ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება უნივერსიტეტის სკოლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დანართი N1-ის შესაბამისად.

2 2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების ადმინისტრირებისთვის ვადები განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად."

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და

სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

სერგო ვარდოსანიძე

დანართი N1

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილები საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის მითითებით

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა:**
   ა) საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **12 ადგილი (ტესტის ტიპი - A);**
   ბ) ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **12 ადგილი (ტესტის ტიპი - A);**
   გ) ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **12 ადგილი (ტესტის ტიპი - A);**
   დ) სამართალის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **35 ადგილი (ტესტის ტიპი - C);**
   ე) საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **35 ადგილი (ტესტის ტიპი - A, B, C შემდეგი თანაფარდობით - ტესტი A - 6; ტესტი B - 6; ტესტი C - 6);**

2. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:**
   ა) ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **23 ადგილი (ტესტის ტიპი - B);**
   ბ) ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **23 ადგილი (ტესტის ტიპი - B);**
   გ) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **23 ადგილი (ტესტის ტიპი - B);**
   დ) მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **8 ადგილი (ტესტის ტიპი - B);**
   ე) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **35 ადგილი (ტესტის ტიპი - A);**
   ვ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **35 ადგილი (ტესტის ტიპი - A);**

შენიშვნა: *გამოცხადებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ჩასარიცხ კანდიდატთა რაოდენობა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდგომ იქნება არანაკლებ 5-ის.*

დანართი N2

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია – 2018 წლის **29 აგვისტო – 12 სექტემბერი**;

2. გამოცდა სპეციალობაში – 2018 წლის **13 სექტემბერი**;

3. გამოცდა უცხო ენაში ქართული ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ენათმეცნიერების, სამართლის, საჯარო მმართველობის, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი), ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის, ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების, სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე შემსვლელთათვის - 2018 წლის **14 სექტემბერი**;

4. გამოცდის შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება – 2018 წლის **17 - 20 სექტემბერი**;

5. აპელაციის შედეგების გამოცხადება - 2018 წლის **21 სექტემბერი**;

6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 2018 წლის **17 - 22 სექტემბერი**;

7. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2018 წლის **24 სექტემბერი**.